

# გამოყენების ინსტრუქცია

## ნატალსიდი®

რეგისტრაციის ნომერი:

სავაჭრო დასახელება:

ნატალსიდი®

საერთაშორისო არადაპატენტებული დასახელება: ნატრიუმის ალგინატი

წამლის ფორმა: რექტალური სუპოზიტორიები

შემადგენლობა:

ერთი სუპოზიტორია შეიცავს:

*მოქმედი ნივთიერება:*

ნატრიუმის ალგინატი (ნატრიუმის ალგინატი) – 250 მგ;

*დამხმარე საშუალებები:* მყარი ცხიმი (ვიტეპსოლი (მარკა H 15, W 35), სუპოსირი (მარკა NA 15, NAS 50).

**აღწერა:** ტორპედოს ფორმის სუპოზიტორიები თეთრი ფერის ყავისფერი ელფერით ან ღია ყავისფერი, ან ღია ნაცრისფერი ყავისფერი ელფერით, დასაშვებია სუპოზიტორიის ზედაპირზე ნადების წარმოქმნა და გასაყოფზე ჰაეროვანი წნელები და ძაბრისებური ღრმულები.

**ფარმაცოთერაპიული ჯგუფი:** ჰემოსტაზური საშუალება ადგილობრივი გამოყენებისათვის.

**ათქ კოდი:** B02BC.

**ფარმაკოლოგიური თვისებები**

**ფარმაკოდინამიკა**

პრეპარატის მოქმედი ნივთიერება - ნატრიუმის ალგინატი - ბუნებრივი პოლისაქარიდი, რომელიც მიიღება წაბლა ზღვის წყალმცენარეებისგან. ახდენს გამოხატულ ჰემოსტატიკურ, ანთების საწინააღმდეგო და რეპარაციულ მოქმედებას.

**ფარმაკოკინეტიკა**

აღწერილი არ არის.

**გამოყენების ჩვენებები**

ქრონიკული ანალური ნახეთქები ეპითელიზაციის სტადიაზე, ქრონიკული სისხლმდენი ჰემოროი, პროქტოსიგმოიდიტი და ანთებითი მოვლენები სწორ ნაწლავში პოსტოპერაციულ პერიოდში.

## **უკუჩვენებები**

ჰიპერმგრძობელობა პრეპარატის კომპონენტებზე. ბავშვთა ასაკი (14 წლამდე).

გამოყენება ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდში

პრეპარატი ნატალსიდი® უკუნაჩვენები არ არის ორსულობისას და ძუძუთი კვების პერიოდში.

## **გამოყენების წესი და დოზები**

რექტალურად. გამოყენების წინ სუპოზიტორიები უნდა ამოიღოთ კონტურული შეფუთვიდან.

სუპოზიტორია შეიყვანება სწორ ნაწლავში ნაწლავების ნებაყოფლობით დაცლის ან გამწმენდი ოყნის შემდეგ.

მოზრდილებსა და 14 წელზე მეტი ასაკის ბავშვებში - 1 სუპოზიტორია დღე-ღამეში 2-ჯერ.

პრეპარატ ნატალსიდიტ® მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 7-14 დღეს.

## **გვერდითი მოქმედება**

შეიძლება განვითარდეს ალერგიული რეაქციები.

თუ ინსტრუქციაში მითითებული რომელიმე გვერდითი ეფექტი გამწვავდა ან განვითარდა სხვა ისეთი გვერდითი ეფექტები, რომლებიც მითითებული არ არის ინსტრუქციაში, მიმართეთ ექიმს.

## **ჭარბი დოზა**

ჭარბი დოზირების შემთხვევების შესახებ ცნობილი არ არის.

პრეპარატის ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებისას ჭარბი დოზირება ნაკლებად მოსალოდნელია.

## **ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო პრეპარატებთან**

კლინიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთქმედებები სხვა პრეპარატებთან არ აღინიშნა.

**ზემოქმედება სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მართვის უნარზე**

პრეპარატის გამოყენება გავლენას არ ახდენს სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მართვის უნარზე.

### **გამოშვების ფორმა**

რექტალური სუპოზიტორიები 250 მგ.

5 სუპოზიტორია პოლიეთილენით ლამინირებული პოლივინილქლორიდის ფირიან კონტურულ დანაყოფებიან შეფუთვაში.

ორი კონტურულ დანაყოფებიანი შეფუთვა სამედიცინო გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად მოთავსებულია მუყაოს კოლოფში.

### **შენახვის პირობები**

არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილას.

### **ვარგისობის ვადა**

3 წელი. არ გამოიყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ.

### **აფთიაქიდან გაცემის წესი**

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

### **მწარმოებელი/პრეტენზიების მიმღები ორგანიზაცია**

სს „ნიჟფარმი“, რუსეთი

603950, ქ. ნიჟნი-ნოვგოროდი, სალგანსკაიას ქ. 7

ტელ: (831) 278-80-88; ფაქსი: (831) 430-72-28

ელ-ფოსტა: [med.stada@ru](mailto:med.stada@ru)